განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა

შეფასების თარიღ(ებ)ი

19/12/2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | მენეჯმენტის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს #803516 გადაწყვეტილება. |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თორნიკე ხოშტარია, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს N803516 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 5 დეკემბრის #543793 ბრძანებით კი განისაზღვრა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის განხორციელება.

შესამოწმებლად წარმოდგენილი "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტზე. პროგრამის მიზანია:

- შესძინოს კურსდამთავრებულს მენეჯმენტის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულად გაცნობიერების საფუძველზე, მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების ეფექტიანად მართვისათვის სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ეთიკურ ასპექტებთან მიმართებით დარგის შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრი;
- აღჭურვოს კურსდამთავრებული მთიანი რეგიონების ორგანულ ფერმერულ სისტემებში კლიმატგონივრული ტექნოლოგიების გამოყენების, მთაში არსებული ეკოლოგიურად ცვალებადი და რისკებით სავსე გარემოს ეფექტიანი მართვის უნარებით
- შეუქმნას კურსდამთავრებულებს მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მენეჯმენტის მიმართულებით სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი.

პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მენეჯმენტის ბაკალავრის კვალიფიკაციას. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამა გაწერილია 4 აკადემიურ წელზე. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი – 230 კრედიტი:
  მათ შორის: პრაქტიკა - 5 კრედიტი;
  საბაკალავრო ნაშრომი - 5 კრედიტი;
- თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი - 10 კრედიტი;

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ემსახურება 53 აკადემიური პერსონალი, სადაც 43 არის აკადემიური აფილირებული პერსონალი(22 პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი)

ხოლო 10 მოწვეული აკადემიური პერსონალი. პროგრამაზე 2021 წლის მონაცემებით ირიცხებოდა 29 სტუდენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 5 დეკემბრის #543793 ბრძანებით. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი იქნა გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, სადაც ასახული იყო ინფორმაცია გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მონიტორინგის დროს შესწავლილი იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს N803516 გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე შემოწმებული იქნა:

- 1-ლი სტანდარტი;
- მე-2 სტანდარის 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები;
- მე-4 სტანდარტის 4.1 და 4.4 კომპონენტები;
- მე-5 სტანდარტის 5.1 და 5.3 კომპონენტები.

შემოწმების შედეგად დადგინდა რომ:

- **1-ლი სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მე-2 სტანდარი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც 2.2 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობასი, ხოლო 2.3 და 2.4 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მე-4 სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც 4.1 და 4.4 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მე-5 სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგანაც 5.1 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია პროექტების მართვის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს ,,მენეჯმენტის საფუძვლები“-ს სასწავლო კურსი ნაცვლად ,,ბიზნესის საფუძვლებისა“;
- რეკომენდებულია ,,ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მინიმუმ ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსი ან ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია შრომის ბაზრის მომავალი კვლევების განხორციელებისას კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის რელევანტურობის გაზრდის მიზნით კვლევაში ჩართული სუბიექტების რაოდენობის გაზრდა;
  - სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გაწერილი გეგმის შესაბამისად გამოყენებული იქნეს იმ სასწავლო კურსების აკადემიური მოსწრების შედეგები რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებას;
  - სასურველია პროგრამის მენეჯმენტმა გააგრძელოს მუშაობა უახლესი ქართულენოვანი დარგობრივი ლიტერატურის მოძიებაზე, ახალი სახელმძღვანელოების, სალექციო კურსების შექმნაზე;
  - სასურველია დაზუსტდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ერთ-ერთი ტექნიკური პარამეტრი, კერძოდ ნაშრომის მოცულობის განსაზღვრის ნაწილში, სადაც მითითებულია რომ ,,საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გვერდისა“, სადაც სასურველია წარმოდგენილი იყოს საბაკალავრო ნაშრომის მოცულობის არა მხოლოდ ზედა ზღვარი არამედ ქვედა ზღვარიც.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესწავლილი იქნა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 18/08/2021 წლის №803516 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევის სისტემური სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვლევის შედეგების მეტი რელევანტურობის უზრუნველყოფას და დაეხმარება პროგრამას მიზნობრივად მოიზიდოს მეტი სტუდენტი;
2. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში ცალკეული სასწავლო კურსების

(ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში, რეგიონალური ეკონომიკის საფუძვლები, ორგანიზაციული ქცევა და ა.შ.) მონაწილეობის საკითხს;

3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები გადაიხედოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ჭრილში და მკაფიოდ გამოიკვეთოს მენეჯმენტის კომპეტენციები;
4. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: მათემატიკა, წერითი და ზეპირი კომუნიკაციები;
5. რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილი საწარმოო და საველე პრაქტიკის შერწყმა და ერთიანი პრაქტიკის კომპონეტის სახით წარმოდგენა 5 კრედიტის მოცულობით, ასევე სასწავლო კურსების ,,მწვანე ეკონომიკა" და ,,ბიოეკონომიკის" შერწყმა მათი შინაარსიდან გამომდინარე და ერთი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა;
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები" სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა პროგრამის სტრუქტურაში. ვინაიდან აღნიშნული კურსი არჩევითი კომპონენტის სახით არის პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი უნდა მოხდეს მისი სტატუსის ცვლილება და სავალდებულო სახით წარმოდგენა;
7. რეკომენდებულია ,,რესურსების და სტრატეგიული მენეჯმენტის" სასწავლო კურსის მისი შინაარსის გათვალისწინებით დაყოფა ორი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და სტრატეგიული მენეჯმენტი;
8. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააძლიეროს ხარისხის მართვის და რისკების მართვის საკითხების სწავლება;
9. რეკომენდებულია გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1 სასწავლო კურსის შინაარსის კორექტირება, კერძოდ, - შინაარსში საჭიროა MS Office სრულყოფილად წარმოდგენა;
10. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,მენეჯმენტის საფუძვლების" შინაარსის გაძლიერება მოტივაციის საკითხებით, მათ შორის მოტივაციის თეორიების სახით, რათა სრულად მოხდეს სასწავლო კურსის სილაბუსით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევა;
11. რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსისა და მათში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის გათვალისწინებით დაკორექტირდეს შემდეგი სასწავლო კურსების სახელწოდებები ,,დაპროექტება და პროექტის მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში" და ,,აგრობიზნესის მიწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის საფუძვლები", როგორც ,,პროექტების მართვა" და ,,მიწოდების ჯაჭვის მართვა";
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსი ,,რესურსები და სტრატეგიული მენეჯმენტი" გაიყოს ორ ნაწილად, რადგანაც კურსის შინაარსი გაჯერებულია ადამიანური რესურსების მართვის საკითხებით, თუმცა არასაკმარისად არის წარმოდგენილი უშუალოდ სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხები (სტრატეგიული დაგეგმვის, სტრატეგიების შემუშავების, შერჩევის, დანერგვის, აღსრულების, მონიტორინგის და ა.შ. საკითხები). შესაბამისად, საჭიროა ცალცალკე იქნეს წარმოდგენილი ,,ადამიანური რესურსების მართვის" და ,,სტრატეგიული მენეჯმენტის"

სასწავლო კურსები, რაც ასევე თანხვედრაშია მე-2 სტანდარტის 2.2 ქვეკომპონენტში პროგრამის სტრუქტურის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან;

13. რეკომენდებულია გარკვეული სასწავლო კურსების წინაპირობების დაკორექტირება, კერძოდ: სტატისტიკის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკის კურსი, რომელიც თავის მხრივ უნდა დაემატოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ასევე უნდა დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა, კერძოდ წინაპირობად უნდა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი 7-ე სემესტრის ჩათვლით რადგანაც საბაკალვრო ნაშრომი გათვალისწინებულია მე-8 სემესტრში. გარდა წინაპირობისა ამავე სილაბუსში დასაკორექტირებელია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ერთერთი ტექნიკური პარამეტრი, კერძოდ ნაშრომის მოცულობის განსაზღვრის ნაწილში, სადაც მითითებულია რომ ,,საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გვერდისა“, რაც თეორიულად ტოვებს ლეგალურ გზას სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი იქნეს მაგალითად 5 გვერდიანი ნაშრომი და მოითხოვოს მისი დაცვაზე დაშვება;
14. რეკომენდებულია პროგრამაში არსებული პრაქტიკის კომპონენტების გაერთიანება ერთ პრაქტიკის კომპონენტად და მისი წარმოდგენა სწავლების ბოლო წელს, შესაბამისად სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობაც, რომელიც არსებული მოცემულობით არასრულია. საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს პრაქტიკის გავლის მომენტისთვის განსაზღვრული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;
15. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იზრუნოს პოტენციური პრაქტიკის ობიექტების არეალის გაზრდაზე და გააფორმოს მათთან შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმები;
16. რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელობის პროცესში ჩაერთოს დარგობრივი აკადემიური პერსონალი თანახელმძღვანელის სტატუსით;
17. რეკომენდირებულია წარმოდგენილ იქნას პროგრამის ფინალური მდგრადობის დამადასტურებელი მასალები;
18. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
19. რეკომენდირებულია პროგრამას თან ახლდეს დაწესებულებას მიერ ჩატარებული უცხოური გამოცდილების შესწავლის ე.წ. ,,ბეჩმარკინგის“ დეტალური ანგარიში;

წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შედეგად ცხადია პროგრამამ განიცადა გარკვეული პროგრესი, კერძოდ:

- გაზრდილია პროგრამის მიზნობრიობა, რაც დასტურდება ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით;

- დაკორექტირებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სადაც ლოგიკურად არის წარმოდგენილი ცალკეული სავალდებულო სასწავლო კურსის მონაწილეობა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში;
- დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა, გაძლიერდა პროგრამის მენეჯერული კომპეტენციების ნაწილი, სავალდებულოს სასწავლო კურსების ნაწილში დამატებული იქნა შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფია", ,,კვლევის მეთოდები", ,,ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი", რისკმენეჯმენტი".
- პრაქტიკის კომპონენტი ჩამოყალიბდა ერთი 5 კრედიტიანი კურსის სახით;
- განახლდა სასწავლო კურსბში გამოყენებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა;
- დაკორექტირდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდება მაგ. განხორციელდა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1"-ის სრულყოფა, კერძოდ დაკორექტირდა როგორც კურსის სახელწოდება, ისე მისი შინაარსი. კურსის სახელწოდება განისაზღვრა, როგორც ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში", დაკორექტირდა ასევე სასწავლო კურსის ,,დაპროექტება და პროექტის მართვა აგრარულ და ბიოსისტემების ინჟინერიაში" სახელწოდება, როგორც ,,პროექტის მართვა", ხოლო ,,აგრობიზნესის მიზწოდების ჯაჭვის მდგრადი მართვის საფუძვლების" სასწავლო კურსის სახელწოდება დაკორექტირდა, როგორც ,,მიწოდების ჯაჭვის მართვა", სასწავლო კურსის ,,მცენარეთა INVITRO გამრავლების მენეჯმენტი" სახელწოდება დაკორექტირდა როგორც ,,მცენარეთა INVITRO გამრავლება"; სავალდებულო სასწავლო კურსის ,,მთიანი ზონის სამკურნალო მცენარეების მენეჯმენტი"-ს სახელწოდება დაკორექტირდა , როგორც ,,მთიანი ზონის სამკურნალო მცენარეები" და სხვა.
- სავალდებულო სასწავლო კურსი ,,რესურსები და სტრატეგიული მენეჯმენტი" გაიყო ორ სავალდებულო სასწავლო კურსად: ,,ადამიანური რესურსების მართვა" და ,,სტრატეგიული მენეჯმენტი" ;
- გაფორმდა ახალი მომორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- დაკორექტირდა ცალკეულ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
- განხორციელდა პროგრამის ე.წ. ,,ბეჩმარკის" დოკუმენტის შექმნა;
- განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარე ეტაპზე და ა.შ.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>გაცემული რეკომენდაცია:<br>**რეკომენდაცია 1.** რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევის სისტემური სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვლევის შედეგების მეტი რელევანტურობის უზრუნველყოფას და დაეხმარება პროგრამას მიზნობრივად მოიზიდოს მეტი სტუდენტი.<br><br>გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევა, სადაც სტრუქტურირებულად არის წარმოდგენილი მიზნობრივი ინფორმაცია შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ახალი კადრების მახასიათებლების (უნარ/ჩვევები, პროფესიული აქტივობა) მოთხოვნის და სამუშაო ძალით უზრუნველყოფის გამოწვევების შესახებ. წარმოდგენილი კვლევაში აღწერილია გამოყენებული კვლევის მეთოდები, დაკონკრეტებულია კვლევის მიზანი, ამოცანები, მოცემულია კვლევის სტრუქტურირებული კითხვარი და გაანალიზებულია კვლევის შედეგები. წარმოდგენილი კვლევა იძლევა გარკვეულ სურათს პროგრამის მიზნობრიობის დასაბუთების შესახებ, თუმცა მომავალი კვლევების განხორციელებისას კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის რელევანტურობის გაზრდის მიზნით სასურველია კვლევაში ჩართული სუბიექტების რაოდენობის გაზრდა.<br>მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:<br>• შესძინოს კურსდამთარებულს მენეჯმენტის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულად გაცნობიერების საფუძველზე, მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების ეფექტიანად მართვისათვის სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ეთიკურ ასპექტებთან მიმართებით დარგის შესაბამისი ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრი;<br>• აღჭურვოს კურსდამთავრებული მთიანი რეგიონების ორგანულ ფერმერულ სისტემებშიკლიმატგონივრული ტექნოლოგიების გამოყენების, მთაში არსებული ეკოლოგიურად ცვალებადი და რისკებით სავსე გარემოს ეფექტიანი მართვის უნარებით; |

- შეუქმნას კურსდამთავრებულებს მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მენეჯმენტის მიმართულებით სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის მყარი საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები შესაბამისობასია წარმოდგენილია კვლევის შედეგებთან და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებაზეა ორიენტირებული.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულებამ იმუშავა მოცემული რეკომენდაციის შესრულებაზე, ჩაატარა ბაზრის კვლევა, რომელიც იძლევა სტრუქტურირებულ ინფორმაციას მიზნობრივ შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების კარედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #803516, 18/08/2021, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;
- შრომის ბაზრის კვლევა, 2022;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია შრომის ბაზრის მომავალი კვლევების განხორციელებისას კვლევის რაოდენობრივი კოპონენტის რელევანტურობის გაზრდის მიზნით კვლევაში ჩართული სუბიექტების რაოდენობის გაზრდა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

**√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გაცემული რეკომენდაციები:

**რეკომენდაცია 2.** რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების ნაწილში ცალკეული სასწავლო კურსების (ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში, რეგიონალური ეკონომიკის საფუძვლები, ორგანიზაციული ქცევა და ა.შ.) მონაწილეობის საკითხს;

**რეკომენდაცია 3.** რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები გადაიხედოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ჭრილში და მკაფიოდ გამოიკვეთოს მენეჯმენტის კომპეტენციები.

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია 10 სწავლის შედეგი, რომლებიც შესაბამისობასია პროგრამის მიზნებთან და აღწერს იმ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებიც უნდა გააჩნდეთ პროგრამის კურსდამთავრებულებს. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის (ბაკალავრიატი) დონესთან. პროგრამის სწავლის შედეგებში იკვეთება მენეჯმენტის ბაკალავრის მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის დამახასიათებელი კომპეტენციები, კერძოდ:

1. განმარტავს მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებსა და ორგანიზაციის მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, ორგანიზაციის საქმიანობის, ბიზნესის და მეწარმეობის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სამართლებრივ ასპექტებს;
2. აღწერს ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე პროცესებს, ბიზნესის განვითარებისა და ორგანიზაციის მართვის თანამედროვე ტენდენციებს და ახდენს ცოდნის ინტერპრეტაციას მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვისათვის;
3. განსაზღვრავს კლიმატგონივრული ტექნოლოგიების გამოყენებით და ეკოლოგიურად ცვალებადი და რისკებით სავსე გარემოს გათვალისწინებით, მთის რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მდგრადი მართვისათვის, ეფექტიანი საქმიანობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს;
4. მოიძიებს მონაცემებს, აანალიზებს და აყალიბებს შესაბამისს დასკვნებს მთის რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა მომსახურების და წარმოების მდგრადი განვითარებისთვის;
5. იყენებს მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვისათვის შესაბამის

ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

6. ამყარებს ეფექტიან კომუნიკაციას მოლაპარაკებისა და მართვის სტრატეგიების შესაბამისი მეთოდების შერჩევით დაინტერესებულ მხარეებთან ქართულ და უცხოურ ენაზე; მკაფიოდ აყალიბებს და არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას;
7. მონაწილეობს მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის პროექტების და ოპერაციების გენერირებასა და შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში;
8. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად დამოუკიდებლად ახორციელებს ორგანიზაციის/ბიზნესის ფუნქციონალური სფეროს მართვასთან დაკავშირებულ კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტს - მენეჯმენტის სფეროსთვის დამახასიათებელი მეთოდებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;
9. აფასებს სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და ეთიკურ შედეგებს; მართვის სფეროში აღიარებული პრინციპების, დამკვიდრებული ნორმებისა და ღირებულებებისადმი საკუთარ და სხვების დამოკიდებულებას; განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, ეთიკური პრინციპების დაცვით, ასრულებს მენეჯერულ ფუნქციებს;
10. ახდენს როგორც საკუთარი, ისე სხვების განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას და მონაწილეობს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

წარმოდგენილ პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში. პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე ასახულია კავშირი პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების კონტექსტში. წარმოდგენილი რუკის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება ხორციელდება, შემდეგ სასწავლო კომპონენტებში, კერძოდ ფინანსური მენეჯმენტი, გადასახადები და დაბეგვრა, სტრატეგიული მენეჯმენტი, რისკ მენეჯმენტი, მთის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და რაციონალური გამოყენება, სამეწარმეო სამართლის საფუძვლები, ორგანიზაციული ქცევა, პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში ასახულია პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს, ნორმალურ განაწილების (გაუსის განაწილება) გამოყენებით დადგენილია სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის დიაპაზონები და დადგენილია, რომ აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედა სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები:

- „A“ - ფრიადი - 10%
- “B”- ძალიან კარგი - 25%
- “C” -კარგი - 30%
- “D” -დამაკმაყოფილებელი - 25%
- “E” -საკმარისი - 10%

| |
|---|
| პროგრამის სწავლის შედეგების წარმოდგენილ ანგარიშით ირკვევა რომ „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა“ პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებას უზრუნველყოფს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები) უმრავლესობა. შესაბამისად თითოეული სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) დაექვემდებარა აკადემიური მოსწრების მონაცემების შეგროვებას და შემდგომ მათ ანალიზს“. გამომდინარე აქედან ცხადია, რომ დაწესებულება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს იმ სასწავლო კომპონენტებში სადაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგების წარმოდგენილ ანგარიშში გაანალიზებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მდგომარეობა ისეთ სასწავლო კურსებში რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობას და არა განმტკიცებას, მაგალითად: ეკონომიკის საფუძვლები, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, ბიზნესის საფუძვლები, სტატისტიკის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობას, თუმცა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი მხოლოდ აღნიშნულ სასწავლო კურსებთან მიმართებით არის ჩატარებული და რეკომენდაციებიც ხარისხის სამსახურის მიერ ამის მიხედვით არის გაცემული. ცხადია, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პროგრამას ჯერ სრული ციკლი არ დაუსრულებია ანუ არ ყავს კურსდამთავრებული, თუმცა საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით. შესაბამისად, სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გაწერილი გეგმის შესაბამისად გამოყენებული იქნეს იმ სასწავლო კურსების აკადემიური მოსწრების შედეგები რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #803516, 18/08/2021, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;<br>○ მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გაწერილი გეგმის შესაბამისად გამოყენებული იქნეს იმ სასწავლო კურსების აკადემიური მოსწრების შედეგები რომლებიც |

| |
|---|
| უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებას. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>**√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ არ შეფასებულა |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

გაცემული რეკომენდაციები:

**რეკომენდაცია 4.** რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: მათემატიკა, წერითი და ზეპირი კომუნიკაციები;

**რეკომენდაცია 5.** რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის სახით წარმოდგენილი საწარმოო და საველე პრაქტიკის შერწყმა და ერთიანი პრაქტიკის კომპონეტის სახით წარმოდგენა 5 კრედიტის მოცულობით, ასევე სასწავლო კურსების ,,მწავენე ეკონომიკა“ და ,,ბიოეკონომიკის“ შერწყმა მათი შინაარსიდან გამომდინარე და ერთი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა;

**რეკომენდაცია 6.** რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენა პროგრამის სტრუქტურაში. ვინაიდან აღნიშნული კურსი არჩევითი კომპონენტის სახით არის პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი უნდა მოხდეს მისი სტატუსის ცვლილება და სავალდებულო სახით წარმოდგენა;

**რეკომენდაცია 7.** რეკომენდებულია ,,რესურსების და სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის მისი შინაარსის გათვალისწინებით დაყოფა ორი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და სტრატეგიული მენეჯმენტი;

**რეკომენდაცია 8.** რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააძლიეროს ხარისხის მართვის და რისკების მართვის საკითხების სწავლება;

**რეკომენდაცია 9.** რეკომენდებულია გარკვეული სასწავლო კურსების წინაპირობების დაკორექტირება, კერძოდ: სტატისტიკის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მათემატიკის კურსი, რომელიც თავის მხრივ უნდა დაემატოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ასევე უნდა დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა, კერძოდ წინაპირობად უნდა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი 7-ე სემესტრის ჩათვლით რადგანაც საბაკალვრო ნაშრომი გათვალისწინებულია მე-8 სემესტრში. გარდა წინაპირობისა ამავე სილაბუსში დასაკორექტირებელია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ერთერთი ტექნიკური პარამეტრი, კერძოდ ნაშრომის მოცულობის განსაზღვრის ნაწილში, სადაც მითითებულია რომ ,,საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გვერდისა“, რაც თეორიულად ტოვებს ლეგალურ გზას სტუდენტის მხრიდან წარმოდგენილი იქნეს

მაგალითად 5 გვერდიანი ნაშრომი და მოითხოვოს მისი დაცვაზე დაშვება;

**რეკომენდაცია 10.** რეკომენდებულია პროგრამაში არსებული პრაქტიკის კომპონენტების გაერთიანება ერთ პრაქტიკის კომპონენტად და მისი წარმოდგენა სწავლების ბოლო წელს, შესაბამისად სრულყოფილად უნდა იქნეს წარმოდგენილი პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობაც, რომელიც არსებული მოცემულობით არასრულია. საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს პრაქტიკის გავლის მომენტისთვის განსაზღვრული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;

მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამა გაწერილია 4 აკადემიურ წელზე. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი – 230 კრედიტი:

  მათ შორის: პრაქტიკა - 5 კრედიტი;

  საბაკალავრო ნაშრომი - 5 კრედიტი;
- თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი - 10 კრედიტი;

მე-4 რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამის სავალდებულოს სასწავლო კურსების მოდულში დამატებულია ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაციების“ (5 კრდტ) და ,,მათემატიკა 1.1“ (5 კრდტ) სასწავლო კურსები, ასევე მე-5 რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა საწარმოო და საველე პრაქტიკის შერწყმა ერთ 5 კრედიტიან კურსად ,,პრაქტიკა ორგანული ფერმერულის სისტემების მართვაში“, რომელიც განაწილებულია მეშვიდე სემესტრში. ასევე განხორციელდა სასწავლო კურსების ,,მწვანე ეკონომიკა“ და ,,ბიოეკონომიკის“ შერწყმა ერთ 5 კრედიტაინ კურსად სახელწოდებით ,,მდგრადი მწვანე ბიო ეკონომიკა“. მე-6 რეკომენდაციის შესაბამისად არჩევით სასწავლო კურსს ,,საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ შეეცვალა სახელი ,,გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა“ და გაიდაინაცვლა სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში.

მე-7 რეკომენდაციის შესაბამისად სასწავლო კურსი ,,რესურსები და სტრატეგიული მენეჯმენტი“ დაიყო ორ სავალდებულო სასწავლო კურსებად: ადამიანური რესურსების მართვა (5 კრედიტი) და სტრატეგიული მენეჯმენტი (5 კრედიტი), კურსები განაწილებულია შესაბამისად 6 და 7 სემესტრებში. მე-8 რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამის სტრუქტურაში 5 კრედიტიანი კურსის სახით წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსი ,,რისკმენეჯემენტი“. მე-9 რეკომენდაციის შესაბამისად დაკორექტირებულია კურსზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ სასწავლო კურსის ,,სტატისტიკის საფუძვლები“ წინაპირობად განსაზღვრულია სავალდებულო სასწავლო კურსი ,,მათემატიკა 1.1“. დაკორექტირებულია ასევე საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ საბაკალავრო ნაშრომის ,,მთის ორგანული ფერმერული სისტემების მართვაში“ წინაპირობად განსაზღვრულია პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც სავალდებულოა და გათვალისწინებულია მე-7 სემესტრში, ამასთან პრაქტიკის კომპონენტის წინაპირობად განსაზღვრულია სპეციალობით გათვალისწინებული ყველა ძირითადი სასწავლო კურსი,

რომელიც მოცემული სემსტრისთვის უნდა ქონდეთ გავლილი. გამომდინარე აქედან, ცხადია რომ საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად სტუდენტს გავლილი უნდა ქონდეს პროგრამით მე-8 სემესტრამდე გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი. მე-10 რეკომენდაციის შესაბამისად პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილია ერთ 5 კრედიტიან კურსად, რომლის წინაპირობად განსაზღვრულია სპეციალობით გათვალისწინებული ყველა ძირითადი სასწავლო კურსი, რომელიც პრაქტიკის გავლის მომენტისთვის მე-7 სემესტრამდე გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო გეგმით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად დაკორექტირდა პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები და კურსის სწავლების სემესტრები, კერძოდ

- სასწავლო კურსი მიკრობიოლოგიის საფუძვლები ნაცვლად მე-3 სემეტრისა ისწავლება 1 სემესტრში;
- გაუქმდა სასწავლო კურსის ,,მთის მდგრადი ორგანული ფერმერული სისტემების საფუძვლები“ წინაპირობა;
- სასწავლო კურსის ,,მენეჯმენტის საფუძვლები“-ს სწავლებამ გადაინაცვლა მესამე სემესტრში;
- სასწავლო კურსის ,,პროექტის მართვა“ სწავლების სემესტრად განისაზღვრა 4-ე სემესტრი, ხოლო კურსზე დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსი ,,ბიზნესის საფუძვლები“. თუმცა, რადგანაც პროექტების მართვის სასწავლო კურსი თავისი მიზნებით, შინაარსით და სწავლის შედეგებით არის მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსი, ცხადია მასზე დაშვების წინაპირობად უპრიანი იქნება დაწესდეს ,,მენეჯმენტის საფუძვლები“-ს სასწავლო კურსი ნაცვლად ,,ბიზნესის საფუძვლებისა“;
- სასწავლო კურსები ,,საქართველოს მაღალმთიანი ნიადაგები“ და ,,ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი“ გახდა არჩევითი სასწავლო კურსები, შესაბამისად გაუქმდა ,,საქართველოს მაღალმთიანი ნიადაგები“-ს სასწავლო კურსე დაშვების წინაპირობა;
- პროგრამის კურიკულუმში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით დამატებული იქნა ახალი სასწავლო კურსები: ,,ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფია“, ,,კვლევის მეთოდები“, ,,ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი“, რისკმენეჯმენტი“. შესაბამისად, ზოგიერთი სასწავლო კურსი გახდა არჩევითი, მაგალითად ,,ცხოველთა მომშენებლობა“, ,,გეოგრაფიული ინფორმაციური სისტემები მდგრადი განვითარებისთვის“, ,,მთიანი რეგიონების დემოგრაფია“, ,,ცხოველთა ორგანული კვება მთის ორგანულ ფერმერულ სისტემებში“, ,,კულტურულ მცენარეთა ორგანული სელექცია, მეთესლეობა და თესლმცოდნეობა“, ,,მთის ბუნებრივი საკვები რესურსების გამოყენება და უსაფრთხოება“, ,,ცხოველთა ანატომია“, ,,რეგიონული ეკონომიკის საფუძვლები“;
- სავალდებულო სასწავლო კურსის ,სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია“ წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსი ,,თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიები მთიანი

რეგიონების განვითარებაში“;

- სასწავლო კურსს ,,ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფიას“ არ აქვს განსაზღვრული დაშვების წინაპირობა. გამომდინარე იქედან, რომ ლიდერობის კურსის მიზანია ,,სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა ლიდერობის არსის, მართვის თანამედროვე პრაქტიკასა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევის მეთოდების და მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე, ინოვაციურ სამყაროში. ასევე, გააცნოს მათ ლიდერის სხვადასხვა თვისებები და ჩვევები, რომელიც საკვანძო მნიშვნელობას იძენს სრულფასოვანი თვითრეალიზაციისათვის და პირად, პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმეში წარმატების მისაღწევად“, **უპრიანი იქნება კურსზე დაშვების წინაპირობა განისაზღვროს მინიმუმ ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსი ან ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი;**
- განხორციელდა სასწავლო კურსების ,,ორგანული რძე და რძის პროდუქტების წარმოების მენეჯმენტი“-ს და ,,ორგანული ხორცი და ხორცის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის“ შერწყმა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ახალი 5 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსი ,,ორგანული რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოება“;

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დაწესებულებამ კომპლექსურად განახორციელა არსებული რეკომენდაციების შესაბამისად კონკრეტული ცვლილებები, რომლებიც მიმართულია პროგრამის სტრუქტურის სრულყოფისაკენ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების კარედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #803516, 18/08/2021, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;
- მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამში განხორციელებული ცვლილებების შედარების აქტი;

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია პროექტების მართვის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს ,,მენეჯმენტის საფუძვლები“-ს სასწავლო კურსი ნაცვლად ,,ბიზნესის საფუძვლებისა“;
- რეკომენდებულია ,,ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის წინაპირობად

| |
|---|
| განისაზღვროს მინიმუმ ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსი ან ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
